

საქართველოს კანონი
"სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ" საქართველოს კანონში
დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. "სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ" საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №48, 2000 წელი, მუხ.137) შეტანილ იქნეს შემდეგი შინაარსის დამატებები:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის "ი" ქვეპუნქტი:
"ი) საქართველოს დაზვერვის სამსახური."

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5⁴ მუხლი:

"მუხლი 5⁴. საქართველოს დაზვერვის სამსახურის სპეციალური წოდებები:

1. საქართველოს დაზვერვის სამსახურში წესდება შემდეგი სპეციალური წოდებები:

ა) უმცროსი სპეციალური წოდება - რიგითი, უმცროსი სერჟანტი, სერჟანტი, უფროსი სერჟანტი, ზემდეგი;

ბ) საშუალო სპეციალური წოდება - უმცროსი ლეიტენანტი, ლეიტენანტი, უფროსი ლეიტენანტი, კაპიტანი;

გ) უფროსი სპეციალური წოდება - მაიორი, ვიცე-პოლკოვნიკი, პოლკოვნიკი;

დ) უმაღლესი სპეციალური წოდება - გენერალ-მაიორი, გენერალ-ლეიტენანტი, გენერალ-პოლკოვნიკი.

2. საქართველოს დაზვერვის მოსამსახურეთა სპეციალურ წოდებას წინ ემატება სიტყვა დაზვერვის."

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი